

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის
კომისიის

სხდომის ოქმი N10

25 ივნისი, 2018 წელი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

თ. ტალიაშვილი, ე. კუხიანიძე, მ. დარჩია, გ. გოცირიძე, ა. ლაშხი, ვ. ძნელაძე,
ბ. დავითულიანი, ქ. ჯოხაძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

1. გიორგი ტყემალაძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
2. დავით უჯმაჯურიძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. დავით ჭელიძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. ირაკლი ზარქუა - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. ლევან ჟორჟოლიანი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. დავით უთმელიძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
7. თინათინ ნიბლოშვილი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
8. რიმა ბერაძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
9. გიორგი ბირბიჩაძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
10. შალვა ოგბაიძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
11. გიორგი ჩაკვეტაძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
12. ლევან ჯაფარიძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
13. ქეთევან ფეიქრიშვილი - ა(ა)იპ პარასპორტის განვითარების ცენტრის დირექტორი.

მოწვეული სტუმრები:

1. სოფიო ხუნწარია - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;
2. მაკა ნასრაშვილი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
3. ბასა ფოცხიშვილი - რეჟისორი;
4. ამირან შალიკაშვილი უმცროსი - ა(ა)იპ პანტომიმის სახელმწიფო თეატრის დირექტორი;
5. მარიამ ალექსიძე - თბილისის თანამედროვე ბალეტის დასის დირექტორი;
6. ზვიად მჭედლიშვილი - ა(ა)იპ - შემოქმედებითი საქართველოს ხელმძღვანელი;
7. გიგა კობალაძე - საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის თავმჯდომარე;

8. ეკა მაზმიშვილი - სსიპ თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრის დირექტორი;
9. მიშა მდინარაძე - კომპოზიტორი, მუსიკა
10. გაგა ჩხეიძე - კინოინდუსტრია;
11. ირინა პოპიაშვილი - თანამედროვე ხელოვნება;
12. თაკო ჩხეიძე - თბილისის მოდის კვირეული;
13. მარინა იმერლიშვილი - კვლევითი ორგანიზაცია ARC-ს წარმომადგენელი.
14. ხათუნა ნაჭყებია - კვლევითი ორგანიზაცია ARC-ს წარმომადგენელი.
15. ქეთევან ხარატიანი - კვლევითი ორგანიზაცია ARC-ს წარმომადგენელი.

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი თამარ ტალიაშვილი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. საკითხი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „კულტურული ღონისძიებები“ (კოდი: 08 05) ფარგლებში კულტურის სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავების მიზნით განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშის განხილვა.

მომხსენებელი: ქალბატონი ხათუნა ნაჭყებია

თანამდებობა: კვლევითი ორგანიზაცია ARC-ს წარმომადგენელი.

სხდომის თავმჯდომარე, ქალბატონი თამარ ტალიაშვილი მიესალმა საკრებულოს წევრებსა და მოწვეულ სტუმრებს და დაადასტურა ქვორუმის არსებობა. მან სხდომის მონაწილეებს წარუდგინა დღის წესრიგი, რომელიც განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა, აღნიშნა, რომ კომისია მიმდინარე სხდომაზე განიხილავს თბილისის კულტურის სტრატეგიის შემუშავების მიზნით უკვე განხორციელებულ საქმიანობას. მისი თქმით, თბილისს მოცემულ დრომდე არ აქვს კულტურის სტრატეგიული დოკუმენტი და როდესაც მან 2014 წელს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობა დაიკავა, ერთ-ერთი პირველი რიტაც დაინტერესდა იყო სწორედ აღნიშნული დოკუმენტი და ვინაიდან ის არ არსებობდა, მან

კომისიის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად სწორედ, აღნიშნულ დოკუმენტზე მუშაობა და შექმნა დაისახა. დეპუტატის თქმით, პარალელურად ამ პროცესებისა, ცენტრალურ დონეზე უკვე მიმდინარეობდა მუშაობა საქართველოს კულტურის სტრატეგიის „2025“ შემუშავებაზე, რომელიც საქართველოს მთავრობამ 2016 წელს მიიღო და მასში თავად და მთლიანად თბილისის მუნიციპალიტეტი აქტიურად იყო ჩართული.

ქალბატონმა თამარ ტალიაშილმა, ასევე, მოკლედ მიმოიხილა 2014 წლიდან აღნიშნული დოკუმენტის შექმნისთვის გაწეული სამუშაოები, მათ შორის, თვითშეფასების კითხვარების საშუალებით დაქვემდებარებაში არსებული ობიექტების კვლევა, რითაც გამოვლინდა მრავალი სახის პრობლემა, თუმცა მისი თქმით, აღნიშნული საკმარისი არ არის და სტრატეგიული დოკუმენტის შექმნისთვის კიდევ ბევრი სამუშაო აქვს მუნიციპალიტეტს განსახორციელებელი.

მანვე მადლობა გადაუხადა თბილისის მერს, ბატონ კახა კალაძეს, რომელიც აქტიურად მონაწილეობს დედაქალაქის კულტურის ხედვის ჩამოყალიბებაში. ქალბატონმა თამარ ტალიაშილმა აღნიშნა, რომ მიმდინარე სხდომაზე დეპუტატები მოწვეულ სტუმრებთან ერთად იმსჯელებენ კვლევის თაობაზე, რომელიც ათივე რაიონში ჩატარდება და რომლის მიზანი დედაქალაქის მოსახლეობის ინტერესების, საჭიროებებისა და ასევე შემდგომ შეფასების შესაბამისი ინდიკატორების გამოვლენა წარმოადგენს. აგრეთვე, მისი თქმით, მნიშვნელოვანია იმ ადამიანების აზრი, რომლებიც ზოგადად ქმნიან კულტურას და სწორედ ამიტომ ზოგიერთი მათგანი მოწვეულია სხდომაზე თავიანთი შეხედულებების გასაზიარებლად.

სიტყვა გადაეცა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ბატონ გიორგი ტყემალაძეს, რომელიც მიესალმა სხდომის მონაწილეებს და აღნიშნა, რომ თბილისისთვის ძალიან მნიშვნელოვანია კულტურის დოკუმენტი და ის ხედვა, რომელიც აქვს დედაქალაქის დღევანდელ მთავრობას. მისი განმარტებით, დღეს წარმოდგენილი იქნება საინტერესო პრეზენტაცია და მნიშვნელოვანია სხდომაზე დამსწრე თითოეული პირის ჩართულობა განხილვაში. ბატონი გიორგის თქმით, მიმდინარე პროცესში, არაერთი მსგავსი სახის შეხვედრა გაიმართება და იმედი გამოთქვა ერთობლივი სამომავლო თანამშრომლობის.

თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, ქალბატონმა სოფიო ხუნწარიამ აღნიშნა, რომ თბილისის მთავრობისთვის კულტურა არის ერთ-ერთი პრიორიტეტი და ამ მიმართულებით დედაქალაქის მთავრობის აქტიურობა ამას ადასტურებს. მან მაგალითად მოიყვანა პროექტი „თბილისის ცის ქვეშ“, რომელიც მისი თქმით, წარმატებით მიმდინარეობს. ქალბატონმა სოფიომ, აგრეთვე, აღნიშნა, რომ იმ კვლევით, რომლის პრეზენტაციაც მიმდინარე სხდომაზე მოხდებოდა, უნდა ასევე განისაზღვროს 2019 წლის სამოქმედო პრიორიტეტები რითაც შემდგომ იხელმძღვანელებს თბილისის მერია.

სხდომის თავმჯდომარემ ქალბატონმა თამარ ტალიაშილმა წარმოადგინა თბილისის მერიის მიერ გამოცხადებული სახელმწიფო შესყიდვებში, ელექტრონულ ტენდერში, გამარჯვებული კვლევითი ორგანიზაციის ARC-ის წარმომადგენელი, რომელმაც მისი თქმით, შეიმუშავა კვლევის შუალედური ანგარიში, ხოლო მისი დასრულებული ვარიანტი მზად იქნება მიმდინარე წლის ივლისის ბოლოს. ამის შემდეგ მან სიტყვა გადასცა ARC-ის წარმომადგენელს, ქალბატონ ხათუნა ნაჭყებიას.

ქალბატონი ხათუნა ნაჭყებიას განმარტებით, კომპანია არის კვლევითი დაწესებულება, რომელიც ბაზარზე 2006 წლიდან ფუნქციონირებს, როგორც კომერციული ორგანიზაცია. თუმცა, მას აქვს დაახლოებით 20-წლიანი გამოცდილება და იგი მანამდე წარმოადგენდა გაერო-ს ასოციაციას და მასთან ასოცირებულ მკვლევართა ჯგუფს. კომპანიამ კვლევები სხვადასხვა მიმართულებებით განახორციელა და მისი კლიენტები არიან სახელმწიფო ორგანიზაციები, კერძო კომპანიები, არასამთავრობო ორგანიზაციები, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციები. კერძოდ, კომპანიის კლიენტები იყვნენ: საქართველოს უზენაესი სასამართლო, იუსტიციის უმაღლესი სკოლა, სერვისების განვითარების სააგენტო, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და სხვ.

ქალბატონი ხათუნას განმარტებით, კვლევის მიზანს თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პრიორიტეტების განსაზღვრა წარმოადგენს თბილისის მოსახლეობისა და დაინტერესებული მხარეების საჭიროებების შესწავლის გზით. თავად კვლევის მიზანში ჩანს, რომ კვლევა მოიცავს არა მხოლოდ თბილისის მოსახლეობას, არამედ დაინტერესებულ მხარეებსაც. მათში იგულისხმება, ის სუბიექტები, რომლებიც თანამშრომლობენ თბილისის მერიასთან და განხორციელებული აქვთ გარკვეული ღონისძიებები. ქალბატონის ხათუნას თქმით, გამოიყოფა კვლევის ორი კომპონენტი:

1. თბილისის მოსახლეობის გამოკითხვა და
2. დაინტერესებული მხარეების კვლევა.

მისი თქმით, კვლევისას ინტერესის საგანს წარმოადგენს თბილისის სახელოვნებო, კულტურული და სპორტული ცხოვრების შეფასება მოსახლეობის მიერ.

კითხვარი სხვადასხვა კატეგორიებისგან შედგება. კვლევის შედეგად შესაძლებლობა იქნება იმის განხილვა, თუ რამდენად მიჯნავს თბილისის მოსახლეობა რას ახორციელებს თბილისის მერია და რას - კულტურისა და სპორტის სამინისტრო; არის თუ არა მოსახლეობა ინფორმირებული თბილისის მერიის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ და რომელი საინფორმაციო არხებით იღებს ცნობებს.

კვლევისა, აგრეთვე, წარმოაჩენს, რამდენად არიან ჩართულები თბილისის მაცხოვრებლები კულტურულ ცხოვრებაში. აგრეთვე, მოქალაქეთა აზრს, თუ რა უნდა იყოს თბილისის მერიის პრიორიტეტი მუსიკის, საშემსრულებლო ხელოვნების, ვიზუალური ხელოვნების, პროფესიული სპორტის, მასობრივი სპორტის, ბიბლიოთეკებისა და მედიათეკების მიმართულებებით.

მომხსენებლის ცნობით, კვლევაში მოპოვებული ინფორმაცია დაყოფილი იქნება ასაკისა და სქესის მიხედვით, რათა იდენტიფიცირდეს უბნების მიხედვით, თუ როგორ ნაწილდება სამიზნე ჯგუფები. აგრეთვე, კითხვარი დამატებით, მოიცავს სახელოვნებო სკოლების მიმართ დამოკიდებულების კვლევასაც. ასევე, კითხვარი გამოავლენს მოსახლეობის დამოკიდებულებას ღამის ეკონომიკისა და თბილისის ტურისტული პოტენციალის მიმართ.

ქალბატონი ხათუნას ინფორმაციით, კვლევის მიზანია მუსიკის, საშემსრულებლო ხელოვნების, ვიზუალური ხელოვნების, ბიბლიოთეკების, მუზეუმების და სხვა სფეროებში მოქმედი ორგანიზაციების, დაინტერესებული მხარეების, ცალ-ცალკე პრიორიტეტების განსაზღვრა. შესაბამისად, არსებობს ორი სახის კითხვარი - მოსახლეობისთვის და სფეროში მოქმედი ორგანიზაციებისთვის.

ქალბატონი ხათუნას განმარტებით, ორგანიზაციებისათვის გაგზავნილი კითხვარი, ასევე იკვლევს, თუ როგორი დაფინანსების წესს ისურვებდნენ ისინი. გაიზომება, აღნიშნული პირების დამოკიდებულება შემოქმედებითი ეკონომიკისა და მათთან დაკავშირებული სერვისების, ასევე ღამის კლუბების, თბილისის ტურისტული პოტენციალის მიმართ და წარმოდგენილი იქნება თბილისის უბნების განვითარების ხედვა და პრიორიტეტები. აგრეთვე შედგება ანგარიში, თუ რა ტიპის კულტურული იმიჯი უნდა ჰქონდეს თბილისს.

ქალბატონი ხათუნას განმარტებით, გამოყენებული იქნება რაოდენობრივი, საექსპერტო და თვისებრივი კვლევა. საექსპერტო კვლევაში იგულისხმება დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა, ვინაიდან მერიის ისინი ამავედროულად საკუთარი სფეროს ექსპერტები არიან. თვისებრივი კვლევისთვის კომპანი ჩალრმავებული ინტერვიუს მეშვეობით გამოკითხავს რამდენიმე დაინტერესებულ მხარეს პირად შეხვედრებზე.

მისივე თქმით, კვლევას აქვს ორი სამიზნე ჯგუფი:

1. თბილისის მოსახლეობა და
2. თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დაინტერესებული მხარეები (სთეიქჰოლდერები).

ქალბატონი ხათუნას თქმით, შერჩევისათვის მათ გამოიყენეს ალბათური შერჩევა, სტრატეგიცირებული შერჩევის მეთოდით, რაც გულისხმობს თბილისის

ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფას, ასევე მოსახლეობის პროპორციულად გაყოფას. აგრეთვე, თბილისის უბნების მოსახლეობა დაიყო სქესისა და ასაკის მიხედვით რათა კვლევა არ ასცდენოდა თბილისის უბნების მიხედვით მოსახლეობისთვის დამახასიათებელ ძირითად პარამეტრებს. მისი თქმით, კვლევის ცდომილებების მაჩვენებელი +/- 2.29%-ია 95%-ის სანდოობის მაჩვენებლით. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ ანკეტაში 85 კითხვაა, რომელიც მოიცავს ღია და დახურულ კითხვებს, ხოლო დაინტერესებული მხარეების საექსპერტო კვლევაში სულ 46 კითხვაა, მათ შორის, ღია, დახურული და კომპლექსური კითხვები.

კვლევის მეთოდოლოგიისა და სხვადასხვა საკითხების წარმოდგენის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა, მადლობა გადაუხადა ARC-ის წარმომადგენელს და სხდომის მონაწილეებს სთხოვა, კითხვების წარმოდგენა და სხდომის კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელება.

ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი ზარქუამ, აღნიშნა, რომ წარმოდგენილი კვლევის კითხვარი თავისთავად საინტერესოა, თუმცა კითხვების რაოდენობა ძალიან დიდი. ასევე, დეპუტატი დაინტერესდა, თუ რატომ მოიცავს ანკეტა თბილისის ბიბლიოთეკების შესახებ კითხვებს მაშინ როდესაც, თბილისის ბიბლიოთეკების სტრატეგია უკვე არსებობს.

თბილისის მერის მოადგილემ, ქალბატონმა სოფიო ხუნწარიამ განმარტა, რომ თბილისის ბიბლიოთეკებთან დაკავშირებით რთული პროცესები მიმდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის მერიას აქვს საკუთარი ხედვა ბიბლიოთეკების განვითარებაზე, დამატებით იკვლევს მოსახლეობის დამოკიდებულებასა და ხედვებს მათი განვითარების შესახებ. შედეგად, მოსახლეობა აქტიურად ჩაერთვება ბიბლიოთეკების განვითარების შინაარსობრივ საკითხში და მერია გაითვალისწინებს მათ ხედვებს.

ქალბატონმა სოფიო ხუნწარიამ საუბარი განაგრძო ღამის ეკონომიკის შესახებ და აღნიშნა, რომ კულტურა ღამის ეკონომიკის შემადგენელი ნაწილია. შესაბამისად, მერიას სჭირდება მოსახლეობის ხედვის და საჭიროებების კვლევა აქტივობების დაგეგმვისთვის. ღამის ეკონომიკის ფარგლებში, ეკონომიკურად უნდა გაძლიერდეს თითოეული უბანი. აღსანიშნავია, რომ ღამის ეკონომიკის განვითარება არაა ორიენტირებული მხოლოდ ტურისტებზე, არამედ ადგილობრივ მოსახლეობაზეც. მაგალითად, ბევრი ადამიანი ღამით მუშაობს და არ აქვს საჯარო ტრანსპორტით გადაადგილების შესაძლებლობა. შესაბამისად, საჭიროა სტრატეგიის შემუშავება. ქალბატონი სოფიო ხუნწარიას თქმით, იგი აღნიშნულ საკითხზე ესაუბრა ქალაქ ნანტის მერის მოადგილეს და მათ გამოთქვეს ინტერესი პროცესში მონაწილეობაზე. ქალბატონი სოფიომ დამატებით აღნიშნა, რომ აუცილებელია მოსახლეობის სწორად ინფორმირება ღამის ეკონომიკაზე.

ბატონმა შალვა ოგბაიძემ, აღნიშნა, რომ მას აქვს წარმატებული თანამშრომლობის გამოცდილება კვლევით კომპანია ARC-ისთან, როდესაც დაუკვეთა კვლევა ავტომობილების გამონაბოლქვთან დაკავშირებით. მისი თქმით, აღნიშნული კომპანია ერთ-ერთი ძლიერია საქართველოში კვლევით ბაზარზე.

სიტყვა გადაეცა სხდომაზე მოწვეულ სტუმარს, ქალბატონ ელენე მეჩითოვას. მან მადლობა გადაუხადა ARC-ს წარმომადგენელს საინტერესო კითხვარისთვის და განმარტა, რომ მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ღია კითხვები, რომლებმაც შესაძლებლობა მისცა ვრცლად დაეწერა საკუთარი მოსაზრებები. მანვე აღნიშნა, რომ კითხვები რომლებიც ეხებოდა საშემსრულებლო ხელოვნებას, მოიცავდა შემოქმედებით ინდუსტრიებსაც, მაშინ როდესაც შემოქმედებითი ინდუსტრიები საშემსრულებლო ხელოვნებაში არ შედის, რაზეც ქალბატონმა ხათუნა ნაჭყებია განმარტა, რომ კითხვებზე დატოვებული თავისუფალი სივრცეები რესპოდენტისთვის შენიშვნებისა და საკუთარი აზრის დაფიქსირებისთვის იყო.

სხდომის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თამარ ტაიაშვილმა, მადლობა გადაუხადა ქალბატონ ელენე მეჩითოვას გამოთქმული შენიშვნისთვის და იმედი გამოთქვა, რომ ეს და მსგავსი შენიშვნები ასახული იქნება კვლევაში. მისივე თქმით, კვლევამ ასევე უნდა ასახოს გეოგრაფიული და ადმინისტრაციული დაყოფის ფაქტორების გავლენაც, კერძოდ, მისი თქმით, მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არ იცის, რომ სოფელი დილომი ვაკე-საბურთალოს ტერიტორიაში შედის. ქალბატონმა თამარმა აღნიშნა, რომ კულტურისთვის მნიშვნელოვანია მეცენატობის განვითარება. მისი თქმით, გასულ პერიოდში იყო მსჯელობა მეცენატობის შესახებ კანონმდებლობის შემოღებაზე, მაგრამ რამდენადაც გაირკვა, აღნიშნული კანონით ბოროტად სარგებლობის რისკებს ქმნიდა. თუმცა, მოცემული დროისთვის კულტურის სფეროებში ბიზნესის შეღავათიან დაბეგვრაზე საუბარი შესაძლებელია.

საკრებულოს წევრის, ქალბატონი რიმა ბერაძის თქმით, ბოლო დროს დედაქალაქში განსაკუთრებით გააქტიურდა კულტურული ღონისძიებები. მან აღნიშნა, რომ თავისი სამაჟორიტარო რაიონისთვის, ჩუღურეთისთვის, კულტურული ცენტრების არსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და ერთ-ერთი ასეთი დაწესებულებაა „ფაბრიკა“, თუმცა, წარმოიქმნა რჩება ხმაურის პრობლემა, რომელიც მოსახლეობას აწუხებს, შესაბამისად, საჭიროა რეგულაციების შემუშავება, რათა, ორივე მხარის ინტერესები დაკმაყოფილდეს. ქალბატონმა რიმამ, ყურადღება გაამახვილა, მსგავსი სახის კულტურული ცენტრების გარეუბნებში გაჩენის საჭიროებაზეც, ვინაიდან იქ მაცხოვრებლებს შესაძლებლობა არ აქვთ ყოველთვის, ჩაერთონ ცენტრში არსებულ ღონისძიებებში.

ქალბატონი სოფიო ხუნწარია აღნიშნა, რომ მოსახლეობა დაცული უნდა იყოს ზედმეტი ხმაურისგან, ახალგაზრდების ზედმეტად შეზღუდვაც არ არის მიზანშეწონილი.

კომისიის თავმჯდომარე გამოეხმაურა ქალბატონი რიმა ბერაძის მოსაზრებას და აღნიშნა, რომ კულტურის ყველა სეგმენტისთვის აუცილებელია რეგულაციების არსებობა, ასევე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება.

სიტყვა გადაეცა სხდომაზე მოწვეულ სტუმარს, ქალბატონ მაგდა გურულს. მისი თქმით, მხოლოდ მოსახლეობას არ შეიძლება მოეთხოვოს სხვადასხვა მომწესრიგებელი ნორმების დაცვა; არამედ ბიზნესებსაც. მისი განმარტებით, ბიზნესი ხელს უნდა უწყობდეს მიმდებარე სივრცის განვითარებასაც. მან მაგალითად მოიყვანა ყაზბეგი, რასთან დაკავშირებითაც, მისი თქმით, უცხოელი ვიზიტორები გაკვირვებულები არიან, იქ მაღალი დონის სასტუმროს არსებობის მიუხედავად მიმდებარე ტერიტორიის განუვითარებელი ინფრასტრუქტურით. ქალბატონი მაგდას განმარტებით, ბუნებრივია ბიზნესს ვერ დაეკისრება ინფრასტრუქტურის განვითარების ვალდებულება, თუმცა, მას უნდა ჰქონდეს სოციალური პასუხისმგებლობა. მისი თქმით, მულტიფუნქციური ობიექტები, როგორც მაგალითად არის „ფაბრიკა“, უნდა ზრუნავდნენ ირგვლივ მაცხოვრებლების ინტერესებზე და ასევე, ეხმარებოდნენ მათ.

ქალბატონი მაგდა დაეთანხმა ქალბატონ თამარ ტალიაშვილს და აღნიშნა, რომ საჭიროა მსჯელობა მეცენატობის შესახებ კანონის შემოღებაზე. მისი თქმით, შესაძლოა მას ახლავს გარკვეული რისკები, თუმცა საერთო ჯამში უფრო მეტი სარგებლის მოტანა შეუძლია საზოგადოებისათვის.

კომისიის წევრი, ქალბატონი მარიკა დარჩია დაინტერესდა თუ რა ეტაპზეა თბილისის კულტურის სტრატეგია და აღნიშნა, რომ სტრატეგია სრულად უნდა აისახოს თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში. მისი თქმით, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს სტრატეგიის აღსრულებას. ქალბატონმა მარიკა ასევე, დაინტერესდა, თუ როდის დამთავრდება კვლევა, რა მოლოდინები აქვთ მის ავტორებს და როდის აისახება კვლევის შედეგები თბილისის კულტურის სტრატეგიაზე.

ქალბატონმა ხათუნა ნაჭყებია აღნიშნა, რომ მოსახლეობის კვლევა დასრულებულია, 15 ივლისს ორგანიზაცია ARC ასრულებს თბილისის მერიასთან დადებულ კონტრაქტს და ამ დროისთვის მზად იქნება კვლევის შედეგები.

ქალბატონმა სოფიომ აღნიშნა, რომ მერიას გააჩნია საკუთარი ხედვა, თუ როგორ უნდა დაიწყოს თბილისის კულტურის სტრატეგიის დაწერა, ასევე, აღნიშნა, რომ სტრატეგია ბიუჯეტთან შესაბამისობაში უნდა იყოს. მისივე განმარტებით, 2019 წლიდან დაიწყება ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, მანამდე კი მოსამზადებელი პერიოდი იქნება, რომლის გარკვეული ნაწილი უკვე შესრულებულია.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა განმარტა, რომ თბილისის საკრებულო ყველა ეტაპზე იქნება ჩართული აღნიშნულ სტრატეგიაზე მუშაობაში. მანვე გაიხსენა 2015 წელი, როდესაც დაფუძნდა თბილისის თანამედროვე ბალეტის დასი თბილისის საკრებულოს

ამავე სხდომის დარბაზში. დეპუტატმა, ასევე, გაიხსენა, რომ მაშინდელ სხდომაზე საკრებულოს ერთ-ერთმა ოპოზიციონერმა აღნიშნა, რომ თანამედროვე ბალეტის დაარსება უადგილო იყო, როდესაც მოსახლეობა შიმშილობსო.

სიტყვა გადაეცა სხდომაზე მოწვეულ სტუმარს, ბატონ ზვიად მღებრიშვილს, რომელმაც აღნიშნა, რომ სტრატეგიული კვლევები ითვალისწინებენ ადამიანებში ცნობიერების ამაღლებას და შესაბამისად დაინტერესდა, არის თუ არა ეს ელემენტი გათვალისწინებული წარმოდგენილ კვლევაში.

ქალბატონმა ხათუნა ნაჭყებია პასუხად განმარტა, რომ კვლევის კითხვარში მაქსიმალურადაა განმარტებული საკითხები. ამასთან, მისი თქმით, მოსახლეობის ცნობიერების დონის ამაღლება სტრატეგიული მიმართულებაა, რომელიც განსაზღვრავს თუ რა მიმართულებით უნდა იმუშაოს თბილისის მერიამ და საკრებულომ, რათა თბილისის მოსახლეობის ცნობიერება ამაღლდეს კულტურის სფეროში. თუმცა აღნიშნული მათი კვლევის მიზანს არ წარმოადგენდა.

ბატონმა ზვიად მღებრიშვილმა დაინტერესდა უშუალოდ ინტერვიუების გამოცდილებით. რაზეც ქალბატონმა ხათუნა ნაჭყებია აღნიშნა, რომ აღნიშნული პიროვნებები ორგანიზაცია ARC-ის თანამშრომლები არიან, რომლებსაც საველე სამუშაოების წინ უტარდებათ ტრეინინგი. ტრეინინგის ფარგლებში ისინი სწავლობენ თუ როგორ უნდა განუმარტონ მოსახლეობას კითხვარში მოცემული ნებისმიერი ტერმინი, მაგალითად, „ღამის ეკონომიკა“, „ვიზუალური ხელოვნება“ და სხვ.

იურიდიული პირების სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, მოსაზრება გამოთქვა საკრებულოს წევრმა, ბატონმა ლევან ჟორჯოლიანმა. მისი განმარტებით, მუნიციპალიტეტის ვალდებულებების ნაწილში, თბილისის ქონების მართვის სააგენტო, როდესაც კონკრეტულ იურიდიულ პირებს ქონებას გადასცემს მფლობელობაში, ყოველთვის ცდილობს, კომპანიებს დაავალდებულოს ინვესტიციების განხორციელება და აღნიშნული უკვე პრაქტიკად იქცა, განსაკუთრებით კი, ბოლო პერიოდში. მისი თქმით, აღნიშნული საინვესტიციო პირობები სოციუმის საჭიროებებზეა ორიენტირებული და ცალკეული ბიზნესები, რომლებიც თბილისის მუნიციპალიტეტისგან იღებენ ქონებას, საკმაოდ დიდ თანხებს ხარჯავენ საინვესტიციო ვალდებულებების შესრულებისთვის. ამასთანავე, ბატონმა ლევანმა აღნიშნა, რომ კერძო სექტორთან დაკავშირებული საკითხის განხილვა ძალიან რთულია, რადგან კერძო ურთიერთობებში, თუნდაც რაიმე ნებართვის გაცემისას, თბილისის მერია ვერ დაავალდებულებს კომპანიას ინვესტიციის განხორციელებას.

ბატონმა ლევანმა ასევე აღნიშნა, რომ 2016 წელს საქართველოს პარლამენტში დარეგისტრირდა „ფილანტროპიის, ქველმოქმედებისა და საზოგადოებრივი პარტნიორობის შესახებ“ კანონპროექტი. მისი ინფორმაციით, აღნიშნული

კანონპროექტის ინიციატორები არიან პარლამენტის წევრები, ქალბატონი გუგული მალრაძე და ბატონი ზვიად კვაჭანტირაძე, თუმცა კანონპროექტს მსვლელობა ჯერ არ მიეცა. ამ კანონის მთავარი ამოსავალი პრინციპია, რომ ბიზნესს ფილანტროპია შეიძლება მოეთხოვოს, თუკი მას სახელმწიფო გარკვეულ საგადასახადო შეღავათებს შესთავაზებს.

ქალბატონი სიფიო ხუნწარია გამოეხმაურა ბატონი ლევან ჟორჟოლიანის მოსაზრებას და აღნიშნა, რომ იგი ემხრობა ბიზნესისათვის შეღავათების დაწესებას, რადგან ამ შემთხვევაში შესაძლოა ეკონომიკის მაჩვენებელი მართლაც გაიზარდოს. მისივე თქმით, ხსენებულ კანონთან დაკავშირებით, არსებობს წარმატებული მოდელები, შესაბამისად, აუცილებელია ამ მოდელების გადმოტანა და ქართული რეალობისთვის მორგება. მისი თქმით, მოცემული დროისთვის სოციალური პასუხისმგებლობა მხოლოდ რამდენიმე კომპანიას გააჩნია.

ქალბატონმა მაგდა გურულმა აღნიშნა, რომ ბიზნესს უნდა განესაზღვროს მოსახლეობისათვის სასარგებლო საქმიანობის განხორციელება, რადგან მას თავისთავად არ აქვს ფილანტროპიის სურვილი.

სხდომაზე მოწვეულმა ბატონმა მიხეილ მდინარაძემ აღნიშნა, რომ კულტურის სტრატეგიულ დოკუმენტს თან უნდა ერთვოდეს დაფინანსების სტრატეგიული დოკუმენტი, ვინაიდან მის გარეშე წარმოუდგენელია კულტურის სტრატეგიის განხორციელება. მისი თქმით, სახელმწიფომ უნდა ითამაშოს მედიატორის როლი ხელოვნებასა და ბიზნესს შორის. მანვე წინადადებით მიმართა კომისიის თავმჯდომარეს და ქალბატონ სოფიო ხუნწარიას რამდენიმე დღიანი ბიზნეს ფორუმის მოწყობის შესახებ, სადაც ხელისუფლების, ბიზნესისა და ხელოვნების წარმომადგენლები ერთად იმსჯელებენ, თუ როგორ უნდა მოეხსნას სახელმწიფოს კულტურის მთავარი დამფინანსებლის ტვირთი.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა განმარტა, რომ იგი მიესალმება წარმოდგენილ წინადადებას, ვინაიდან, მისი თქმით, სახელმწიფოს, როგორც ხელოვნებისა და კულტურის დამფინანსებლის, განსაკუთრებული ინტერესია აღნიშნული სფეროების დაფინანსების დემოკრატიზაცია.

ბატონი გაგა ჩხეიძის თქმით, ქართული ფილმის განვითარების ფონდს ეკუთვნის ძველი კინოსტუდიის შენობა, რომელიც მდებარეობს თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირისა და თამარ მეფის გამზირის კუთხეში. ხსენებულ ტერიტორიას სჭირდება თბილისის მერიის მხარდაჭერა. მისი თქმით, კინოს განვითარების ფონდს სურს, იპოვოს ინვესტორი და ტერიტორიის განვითარებაში ჩაერთოს თბილისის მერია, ასევე საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო.

ქალბატონმა სოფიო ხუნწარიამ აღნიშნა, რომ იცნობს აღნიშნულ ტერიტორიას და დაინტერესდა, ვის საკუთრებაში იმყოფება მოცემული მომენტისთვის. რაზეც ბატონმა

გაგა ჩხეიძემ განმარტა, რომ იგი ქართული ფილმის განვითარების ფონდის საკუთრებაა, თუმცა, არსებობს გასხვისების გარკვეული საფრთხე, შესაბამისად, ფონდის სურვილია თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ დააფიქსიროს პოზიცია, რომ მას სურს ხსენებული კულტურული სივრცის შენარჩუნება. რაზეც ქალბატონმა სოფიო ხუნწარიამ აღნიშნა, რომ საკითხის შესასწავლად მიზანშეწონილი იქნება იურისტების მოწვევა და მათთან ერთად განხილვა.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კინო ნამდვილად წარმოადგენს კულტურულ მემკვიდრეობას და კინო-სტუდიის ტერიტორიის მიზნობრივად გამოყენება აუცილებელია.

მოწვეულმა სტუმარმა, ბატონმა ამირან შალიკაშვილი-უმცროსმა, განმარტა რომ პანტომიმა ცალკე ჟანრად დაემატა ქართული ხელოვნების მიმართულებებს, შეიქმნა ცალკე სკოლა და 2015 წლიდან თბილისის მერიასთან ერთად პანტომიმის თეატრმა მიაღწია იმ შედეგს და აიღო საერთაშორისო ცენტრის ლიცენზია, რაც საშუალებას იძლევა უცხოელებიც გაეცნონ ქართულ პანტომიმას. მან აღნიშნა, რომ მოხარულია კულტურის სტრატეგიის შექმნის გადაწყვეტილებით. მან ასევე, აღნიშნა, რომ პანტომიმის თეატრის შენობის საკითხი სასწრაფოდ გადასაწყვეტია.

ქალბატონმა სოფიო ხუნწარიამ აღნიშნა, რომ შენობის პრობლემა, პანტომიმის თეატრის გარდა, ასევე, აქვს თეატრ „გლობუსს“. მისი თქმით, პანტომიმის თეატრის ხელმძღვანელობას თბილისის მერიამ ორჯერ შესთავაზა სხვადასხვა სივრცე, რაზეც ისინი არ დათანხმდნენ. მერიისათვის პრიორიტეტულია პანტომიმის თეატრი. სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ვალდებულებები თეატრის მიმართ, ისევე როგორც თეატრს სახელმწიფოს მიმართ.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა განმარტა, რომ პანტომიმის თეატრის შენობის პრობლემაზე მიმდინარეობს მუშაობა და შალიკაშვილების ოჯახს მიუძღვის უდიდესი წვლილი საქართველოში ხელოვნების ამ უმნიშვნელოვანესი დარგის განვითარებაში. ამისათვის, მან მაძღობა გადაუხადა ბატონ ამირან შალიკაშვილს.

სხდომაზე მოწვეულმა ქალბატონმა ბასა ფოცხიშვილმა სურვილი გამოთქვა, რომ ბიზნეს-სექტორთან მუნიციპალიტეტის შეხვედრის შემთხვევაში, მიიწვიონ ხსენებულ შეხვედრაზე, რადგან მას აქვს კონკრეტული გეგმა, თუ როგორ უნდა ჩატარდეს კონცერტები, ფესტივალები, ზოგადად, ხელოვანმა როგორ შეიძლება იარსებოს საქართველოში სახელმწიფო დახმარების გარეშე. მისი თქმით, ამგვარი ფორუმის გამართვის შემთხვევაში, იგი წარმოადგენს ხსენებულ პროექტს.

სიტყვა გადაეცა ქალბატონ ქეთევან ფეიქრიშვილს, ა(ა)იპ პარასპორტის განვითარების ცენტრის დირექტორს. მისი ინფორმაციით, ცენტრმა მრავალ წარმატებას მიაღწია და ჰყავს ბევრი არაერთი ჩემპიონი. მანვე სთხოვა თბილისის მერიას, რომ გაითვალისწინონ

თბილისის კულტურის სტრატეგიის ყველასათვის ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით შუამ პირებთან მიმართებით.

ქალბატონმა სოფიო ხუნწარიამ განმარტა, რომ თბილისის მერია მაქსიმალურად უწყობს ხელს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების ჩატარებას და სტრატეგიაც მომავალში მოიცავს ამ ელემენტს.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვას:

თამარ ტალიაშვილმა, გიორგი ტყემალაძემ, სოფიო ხუნწარიამ, ხათუნა ნაჭყებამ, ირაკლი ზარქუამ, შალვა ოგბაიძემ, ელენე მეჩითოვამ, რიმა ბერაძემ, მაგდა გურულმა, მარიკა დარჩიამ, ზვიად მღებრიშვილმა, ლევან ჟორჯოლიანმა, მიხეილ მდინარაძემ, გაგა ჩხეიძემ, ამირან შალიკაშვილმა, ბასა ფოცხიშვილმა, ქეთევან ფეიქრიშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „კულტურული ღონისძიებები“ (კოდი: 08 05) ფარგლებში, კულტურის სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავების მიზნით განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების შესახებ:

მომხრე _____	8
წინააღმდეგი _____	0
თავი შეიკავა _____	0

განათლებისა და კულტურის კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის - „კულტურული ღონისძიებები“ (კოდი: 08 05) - ფარგლებში კულტურის სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავების მიზნით განხორციელებული საქმიანობის შესახებ წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნეს ცნობად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

თამარ ტალიაშვილი

